საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №351

1999 წლის 4 ივნისი

ქ. თბილისი

მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში შრომის ანაზღაურების სახელმწიფო რეგულირების, დაქირავებულ მუშაკთა სოციალური დაცვის მიზნით და „საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, დამტკიცდეს:

1. მინიმალური ხელფასი 20 ლარის ოდენობით.

2. ამ ბრძანებულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მინიმალური ხელფასის დაფინანსება ხორციელდება:

ა) საბიუჯეტო სფეროს დაწესებულებებში – შესაბამისი ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე;

ბ) სხვა დანარჩენ დაწესებულებებში – საკუთარი შემოსავლების ხარჯზე.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (ლ. ჭანტურია) დაინტერესებულ დაწესებულებებთან ერთად ერთ თვეში მოამზადოს კანონპროექტი იმ ნორმატიულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, სადაც მოსაკრებლები, სანქციები, ჯარიმები და სხვა გადასახდელები დაკავშირებულია მინიმალურ ხელფასთან, და შეუსაბამონ ისინი ამ ბრძანებულებას.

ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანამდე მოსაკრებლების, სანქციების, ჯარიმებისა და სხვა გადასახდელების განსაზღვრისათვის ძალაში დარჩეს მინიმალური ხელფასი 1,5 ლარის ოდენობით.

4. „საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების, მოსახლეობის სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 11 აგვისტოს N 469 ბრძანებულების დანართში 1;2;3 თანრიგის ნაცვლად ჩაიწეროს: 1;2;3 თანრიგი – თანამდებობრივი სარგო 20 ლარი.

5. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით დადგენილი წესით წარმოადგინოს წინადადებები მინიმალური ხელფასის გაზრდის შესახებ.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 დეკემბრის №734 ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1994-1995 წლებში მიღებული ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 იანვრის №9 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

7. ამ ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს.

ე. შევარდნაძე